



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 19

„27“ თებერვალი 2015 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების  
(გერბი და დროშა) შემმუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის  
შესახებ

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 34-ე  
მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების შემმუშავებელი დროებითი სამუშაო ჯგუფი  
შემდეგი შემადგენლობით:

დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე

ნანა ხვისტანი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე -

დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები:

პაატა გიორგობიანი - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე;

ნუგზარ ცაძიკიძე - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე;

გელა აზიკური - თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

2. დროებითა სამუშაო ჯგუფმა თავისი შემადგენლობით უზრუნველყოს:

ა) თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების ესკიზების შესარჩევი კონკურსის წესის შემუშავება;

ბ) დროებით სამუშაო ჯგუფში შესაბამისი პროფილის სპეციალისტების მოწვევა;

გ) საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან წინასწარი კონსულტაციების გავლა;

დ) განიხილოს საკონკურსო მასალები და გამარჯვებული ესკიზები წარუდგინოს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად;

3. სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადად განისაზღვროს სამი თვე;

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



პაატა გიორგობიანი